# სეზონის პირველი მატჩი

19 მარტს თბილისის "ბურევესტნიკის" სტადიონზე შედგა საკონტროლო მატჩი ფეხბურთში, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია გულშემატკივართა შორის, თამაშს კიევისა და თბილისის დინამოელთა შორის ესწრებოდა მაყურებელთა მაქსიმუმი.

კიეველმა ფეხბურთელებმა შარშანდელ ჩემპიონატში დიდი წარმატებას მიაღწიეს და ვერცხლის მედლები მოიპოვეს, მაგრამ საქმე მარტო მეორე ადგილში არაა. გუნდის ხელმძღვანელობამ კურსი ახალგაზრდა, პერსპექტიულ ფეხბურთელებზე აიღო, შექმნა უაღრესად ძლიერი, ბრძოლისუნარიანი კოლექტივი, რომელსაც სრულიად საფუძვლიანი პრეტენზიები აქვს ჩემპიონის ტიტულზე.

კიეველებმა მართლაც საინტერესო თამაში გვიჩვენეს განვლილ საკონტროლო მატჩში. მათ ჯერ კიდევ დასაწყისში შექმნეს ორი მეტად სახიფათო მომენტი ორივე საპირდაპირო მხარეს - ჯერ კომბინაცია გათამაშებულ იქნა მარჯვენა ფლანგზე, საიდანაც ბურთი სწრაფად გაიგზავნა ცენტრში თავისუფლად დარჩენილი ბაზილევიჩისაკენ, ხოლო შემდეგ ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა ზაიცევი, მაგრამ ბურთი ორივეჯერვე აცდა კარს.

სტუმრებს კარგა ხანს ეპყრათ ხელთ ინიციატივა, ისინი სისტემატურად იყენებდნენ თავიანთი გარემარბების უპირატესობას ფლანგებზე სისწრაფეში და თორაძეს სრული დატვირთვით უხდებოდა მუშაობა ცენტრში ორივე მხრიდან მოწოდებული ბურთების მოსაგერიებლად. მხოლოდ მე-20 წუთისათვის გამოასწორეს მდგომარეობა თბილისელებმა, რაც ძირითადად ბარქაიასი და იამანიძის წყალობით მოხდა, მაგრამ ჩვენი ფორვარდები ამ დღეს ელემენტარულ დარტყმებსაც კი ვერ ასრულებდნენ კარში (განსაკუთრებით მელაშვილი და ჟორდანია).

მეორე ტაიმი თითქმის მთლიანად კიეველთა უპირატესობით მიმდინარეობდა და მათი გამარჯვებითაც დამთავრდა - 1:0 (გოლი გაიტანა ბაზილევიჩმა), თუმცა ანგარიში შეიძლებოდა კიდევ უფრო დიდი ყოფილიყო, კანევსკიმ, მაგალითად, ვერ გაიტანა ბურთი მაშინაც კი, როცა სრულიად მარტოდმარტო იყო დარჩენილი ცარიელი კარის წინ.

თბილისელებმა ერთობ არადამაკმაყოფილებელი თამაში აჩვენეს ამ დღეს. მართალია, გუნდის შემადგენლობა ექსპერიმენტალური იყო და მას აკლდა ძირითად მოთამაშეთა მთელი წყება (ჩოხელი, მესხი, ღოღობერიძე, კალოევი, ზეინკლიშვილი, ბ. სიჭინავა), მაგრამ შეიძლება განმეორდეს შარშანდელი ისტორია და დინამოელებს სწორედ ასეთი შემადგენლობით მოუხედეთ მატჩების ჩატარება, ამიტომ გუნდი ყოველი თავისი ვარიანტით უნდა იყოს მზად ხანგრძლივი გათამაშებისათვის, ხოლო შემცვლელმა მოთამაშეებმა სრული პასუხისმგებლობა აიღონ თავიანთ თავზე.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ჩაატარეს მატჩი: კიევი - მაკაროვი, მენშიკოვი, კოლცოვი, ანუფრიენკო; სოროკინი, საბო, ბაზილევიჩი, სერებრიანიკოვი, ბიბა, კანევსკი, ზაიცევი. თბილისი - კოტრიკაძე, ხურცილავა, თორაძე, ხოჭოლავა, ხუნდაძე, გ. სიჭინავა, მელაშვილი, ბარქაია, ჟორდანია, იამანიძე, ვეკუა.

ძირითად შემადგენლობათა შემდეგ გაიმართა დუბლიორთა მატჩი, გამარჯვება აქაც კიეველებს დარჩათ - 2:1.

**რ. ქორიძე.**
**21 მარტი, 1961 წ.**